

**ტენდერის კატეგორია:** პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება და საკონსულტაციო მომსახურებები

ადვოკატთა ასოციაციის მისიას, ხელი შეუწყოს ქვეყანაში ხარისხიანი და სანდო მართლმსაჯულების სისტემის დამკვიდრებას, პროფესიული დამოუკიდებლობისა და მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფის გზით. ამ მისიის რეალიზაციის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ინსტრუმენტს წარმოადგენს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების კომპეტენციისა და სანდოობის მაღალი ხარისხით ორგანიზება, რაც მნიშვნელოვნად უკავშირდება შესაბამისი საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირებას.

**ადვოკატთა ასოციაცია** აცხადებს ტენდერს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების საინფორმაციო სისტემის შექმნის, დანერგვისა და შემდგომი მომსახურების სერვისზე პროფესიული საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე.

**შესასრულებელი სამუშაო:**

- შემსრულებელმა უნდა წარმოადგინოს პროექტის იმპლემენტაციის მეთოდოლოგია;
- შემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს დეტალური პროგრამული სპეციფიკაციის დამუშავება საპროექტო ტექნიკური დავალების შესაბამისად, დამკვეთთან და პროექტის კონსულტანტთან შეთანხმებით;
- შემსრულებელმა დეტალური სპეციფიკაციის საფუძველზე უნდა უზრუნველყოს საინფორმაციო სისტემის შექმნა, ტესტირება და სამუშაო რეჟიმში გაშვება;
- შემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს სისტემის გაშვების შემდგომი მხარდაჭერა საგარანტიო და პოსტსაგარანტიო რეჟიმში.

**ტენდერის ორგანიზაცია:**

ტენდერი ტარდება განაცხადების ელექტრონული წარმოდგენის ფორმით ასოციაციის სპეციალურ ელ-ფოსტის მისამართზე [tenders@gba.ge](mailto:tenders@gba.ge).

დამატებითი დეტალები იხ. ქვემოთ პარაგრაფში "სატენდერო პაკეტის შემადგენლობა. მისი შევსების და წარმოდგენის წესი."

სატენდერო განაცხადს თან ერთვის ტენდერის შეფასების მეთოდოლოგია და სატენდერო პაკეტის შემდეგი ნაწილები:

- ნაწილი A - ხელშეკრულება: ზოგადი რეგულაციები
- ნაწილი B - პროექტის ეტაპების და ანაზღაურების გრაფიკი
- ნაწილი D - პროექტის განხორციელების მეთოდოლოგია (მინიმალური სტრუქტურა)
- ნაწილი X - შეთანხმება კონფიდენციალურობის დაცვაზე
- ნაწილი Y - განაცხადის საკონტროლო ფურცელი

**მნიშვნელოვანი(!):** სისტემის სპეციფიური დანიშნულებიდან გამომდინარე, სატენდერო პაკეტის ნაწილი C - "საპროექტო ტექნიკური დავალება" და თანდართული ცხრილები დაინტერესებულ მხარეს დამატებით მიეწოდება მხოლოდ კონფიდენციალურობის დაცვაზე შეთანხმების (ნაწილი X) ხელმოწერის და ასოციაციაში მატერიალური სახით წარმოდგენის შემდეგ.

სატენდერო პროცედურაზე პასუხისმგებელი პირი:

სალომე ტყეშელაშვილი

საკონტაქტო ელ-ფოსტა: [s.tkeshelashvili@gba.ge](mailto:s.tkeshelashvili@gba.ge)

### ტენდერის ეტაპები:

1. სატენდერო განაცხადის გამოქვეყნება:

თარიღი: 05/09/22

გამოქვეყნების მედია: gba.ge, jobs.ge

2. პრეტენდენტის მიერ "კონფიდენციალობის დაცვაზე" შეთანხმების ხელმოწერა (ნაწილი X) და "საპროექტო ტექნიკური დავალების" (ნაწილი C) გატანა:

ბოლო ვადა: 09/09/22 17:00-მდე

მისამართი: თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. N11, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

**"კონფიდენციალობის დაცვაზე" შეთანხმების ხელმოწერა უნდა შესრულდეს მხოლოდ ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის მიერ.**

3. ღია კარის დღე (ტექნიკური კითხვების განხილვა)

თარიღი: 13/09/22 11:00

ონლაინ შეხვედრა: შეხვედრის ბმული დაეგზავნება პრეტენდენტებს, რომლებსაც გაფორმებული ექნებათ "კონფიდენციალობის დაცვაზე" შეთანხმება

4. სატენდერო განაცხადების წარდგენა:

ბოლო ვადა: 26/09/22 18:00-მდე

იხ. ქვემოთ პარაგრაფი "სატენდერო პაკეტის შემადგენლობა. მისი შევსების და წარმოდგენის წესი"

5. ფინანსური პაკეტის პაროლის წარდგენა:

ფინანსური პაკეტის პაროლი უნდა გამოიგზავნოს 2022 წლის მხოლოდ 27 სექტემბერს, 14:00 საათამდე.

იხ. ქვემოთ პარაგრაფი "სატენდერო პაკეტის შემადგენლობა. მისი შევსების და წარმოდგენის წესი"

6. სატენდერო განაცხადების განხილვა და გამარჯვებულის გამოვლენა:

ბოლო ვადა: 30/09/22 18:00-მდე

ტენდერის შედეგი განისაზღვრება შეფასების QCBS მეთოდოლოგიის შესაბამისად. იხ. თანდართული "ტენდერის შეფასების მეთოდოლოგია".

**სატენდერო პაკეტის შემადგენლობა. მისი შევსების და წარმოდგენის წესი:**

სატენდერო პაკეტი წარმოდგენილი უნდა იყოს **ორი zip არქივის** სახით. გთხოვთ, ასევე, ყურადღება მიაქციოთ **მნიშვნელოვან პირობებს** ამ პარაგრაფის ბოლოს.

**პირველი zip არქივი** უნდა იყოს ღია, პაროლის გარეშე. სახელის ფორმატი - "xxxxxxxxx.1.zip", სადაც xxxxxxxxx არის ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი. პირველი zip არქივი უნდა მოიცავდეს სატენდერო პაკეტის შემდეგ ნაწილებს (ფაილებს):

- განმცხადებლის რეკვიზიტებით შევსებული და უფლებამოსილი პირის მიერ ყველა გვერდზე ხელმოწერილი ხელშეკრულების (სატენდერო პაკეტი - ნაწილი A) ორიგინალის სკანირებული PDF ვერსია არანაკლებ 200 DPI გარჩევადობით (განპირობებულია ფაილის შემდგომი დაბეჭდვის საჭიროებით). დამკვეთის მხრიდან ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა მოხდება მხოლოდ ტენდერში გამარჯვებულ განმცხადებელთან.
- მოთხოვნათა შესაბამისობის მიკვლევადობის სრული და შემაჯამებელი ფორმების (ცხრილები C.RM და C.RS სატენდერო პაკეტის ნაწილი C-დან) შევსებული ელექტრონული ვერსია. დავალების დოკუმენტის წარმოდგენა საჭირო არ არის.
- "განაცხადის საკონტროლო ფურცელი" (სატენდერო პაკეტი - ნაწილი Y)
- დანართები (1 - n) საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ფაილის სახელები უნდა იწყებოდეს ტექსტით "APPENDIX n", სადაც n არის დანართის ნომერი. საკვალიფიკაციო მოთხოვნები იხილეთ "ტენდერის შეფასების მეთოდოლოგიის" ფაილში (ფურცლები S2, S3).

**მეორე არქივი** უნდა იყოს პაროლით დაცული. პაროლი უნდა შედგებოდეს არანაკლებ 16 სიმბოლოსგან. სახელის ფორმატი "xxxxxxxxx.2.zip", სადაც xxxxxxxxx არის ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი. არქივი უნდა მოიცავდეს სატენდერო პაკეტის შემდეგ ნაწილებს:

- უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი "პროექტის ეტაპების და ანაზღაურების ფორმა" (სატენდერო პაკეტი - ნაწილი B) ორიგინალის სკანირებული PDF ვერსია არანაკლებ 200 DPI. ფაილის სახელი უნდა იწყებოდეს ტექსტით "PART B";
- "პროექტის განხორციელების მეთოდოლოგიის" (სატენდერო პაკეტი - ნაწილი D) ელექტრონული ვერსია. ფაილის სახელი უნდა იწყებოდეს ტექსტით "PART D".

**(!)** ორივე zip არქივის წარმოდგენა უნდა მოხდეს სატენდერო განცხადების წარდგენის ბოლო ვადამდე (ტენდერის მე-4 ეტაპი).

თუ განაცხადის ელ-ფოსტით მოწოდება ვერ ხორციელდება (მაგ. არქივის ზომის გამო - აჭარბებს 25 მგბ-ს), შესაძლებელია მისი ფიზიკური წარმოდგენა ტენდერზე პასუხისმგებელ პირთან ფლემ-დისკზე ელექტრონული სახით. მოწოდებული ფაილის წაკითხვადობაზე პასუხისმგებელია პრეტენდენტი.

ფინანსური შეთავაზების პაროლი (სატენდერო პაკეტის მეორე არქივისთვის) უნდა გამოიგზავნოს 2022 წლის 27 სექტემბერს, 14:00 საათამდე. (ტენდერის მე-5 ეტაპი). პაროლი, უნდა მიეთითოს ფიგურულ ფრჩხილებში - [xxxxxxxxxxxxx].

### **მნიშვნელოვანი პირობები:**

1. განაცხადის წარდგენა ნიშნავს, რომ გამარჯვების შემთხვევაში, მხარე ეთანხმება მის მიერ წარდგენილი ფასით და სატენდერო პაკეტით განსაზღვრული პირობებით ხელშეკრულების გაფორმებას;

2. ამხანაგობის (კონსორციუმი) მონაწილეობის შემთხვევაში, ამხანაგობის სადამფუძნებლო დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მხარეთა პასუხისმგებლობას, მათ შორის - პროექტის მართვაზე ვალდებულებას, წარმოადგენს საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელ სავალდებულო დოკუმენტს;

3. ტექნიკურ მოთხოვნათა მატრიცაში შესაბამისობის კოდების "3", "4" და "5" მითითება გამოიწვევს განმცხადებლის დისკვალიფიკაციას. ასეთი განაცხადების განხილვა მოხდება მხოლოდ განმეორებითი ტენდერის დაგეგმვის შემთხვევაში, თუ პირველ ტენდერში ვერ შეირჩევა გადაწყვეტილება, რომელიც სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. ასევე, შესაბამისობის კოდს "1" მიენიჭება უპირატესობა კოდ "2"-თან მიმართებაში.

თანდართული დოკუმენტები გთხოვთ, იხილოთ ბმულზე: <https://bit.ly/3D10n7v>